წლიწადი მეხუთე

ფასი თბილისში კოოპერაციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოს" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

...მეუს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ალექსანდრა, შვილი ნინა და ... შალვა ნაკაშიძენი, ძმა ალექსი მეუღლით და დაი მართა ჯაყე... მეუღლით, რძალი ხაფითო, ძმის წულები პორფირე და სამსონ ...ულები, ვასასი და დიომიდე სურგულაძეები, ... და კატო ...ლით კოწიათი და შვილით კარნილია თავართქილაძეები ვაცნობ... ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაბა ლაგოდეხში ჩვენთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

## ...ასე რ...ჭველი-მეხუზლა

რომლის დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—2185—1

...ივე სოფიო იოსების ასული მარინაშვილისა და მისი შვილები: ...ო, ასიკო და საშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ...ველის საყვარელის დის, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარი დეიდის

## ნატალია იოსების ასულის გოგასაშვილის

...დაცვალებას. წირვა დაიწყება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს, დილის 10 საათზე, საიდანაც შუადღის 12 ს. მიცვალებულს წაასვენებენ დასაკრძალად პეტრე-პავლეს სასაფლაოზე 2—2184—1

...მად დამწუხრებულნი შვილები პეტრე, კირილე, ნინობია, რძლები ...ქსია და მარიამი დგებუაძეები, სიძე დათა ბახვას ძე აფაქიძე ...წყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. ლესოჭინეში

## მართა ტიტიას ასული დგებუ ძისა

...მლის დასაფლავების დღე დანიშნული არის 6 მარტს, ძველი სტილით 21 თებერვალს, დღით ხუთშაბათს სოფ. ლესოჭინეში 1—26—1

...ლდათუთქმულნი ალექსანდრა ნიკოლოზის ასული მეხუზლასი, ნინა ...ს ასული ნაკაშიძისა, ესიკო და ნათელითით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 2 მარტს ...ბა ლაგოდეხში გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლე, მეორეს მამა და უკანასკნელის ბაბუა

## ...ასე მაქსიმეს ძე რაჭველი (მეხუზლა)

...ილისის სადგურზედ ჩამოასვენებენ კახეთის რკინის გზით ხუთშაბათს 6 მარტს 1919 წ. საღამოს 5 ნახ. საათზე, საიდანაც წაასვენებენ გურიაში, ნატანების სადგურიდან, სოფ. ბ. ბაილეთში მიცვალებულის მისაბარებლად. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—2187—1).

...ენე იოსების ასული, დავითი დიმიტრის ძე და სარა ივანეს ასული ცაციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ 7 მარტს ...დილი იქნება პანაშვიდი მეორმოცე დღის განსვენებულის მათი ...ყვარელის პირველის და მეორის შვილის და უკანასკნელის მეუღლის

## ...მამი ალექსანდრე დავითის ძე ცაციშვილის

...ულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქნება გადახდილი ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში პანაშვიდი დაიწყება 2 საათზედ. (2—2188—1)

...რმად დამწუხრებული: მინა სარდალის ძე გოცირიძე, მეუღლე ...ასი ი. გ. გოცირიძისა, შვილები: ელენა, მარო, ბენიამენ და პროკოფი გოცირიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

## ილია ნიკოლოზის ძე მაჭავარიანის

...როოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის გვამი გამოსვენებული ...ქნება 5 მარტს ღამით 11 საათზე ქ. თბილისიდან დაბა საჩხერეში. ...და 6 მარტს დასაფლავებული იქმნება სოფელ სხვიტორში მაცხოვრის ეკლესიაზე. (1—2189—1).

...იკითხეთ ყველგან

## ღვინო

## ჩაჩიბაიასი

(ë—2087—8)

კახელ მეღვინეთა და მევენახეთა აქციონერული საზოგადოება

## კახური ღვინო-ს

დამფუძნებელნი ამით აცხადებენ, რომ ბირჟმდ ღვინის დასაკვეთათ საზოგადოების მთავარ საწყობიდან, რომელიც უკვე დაარსებულია კახეთის რკინის გზის გურჯაანის სადგურზე, უნდა მიჰმართონ თბილისში სავაჭრო სახლის „კომერსანტ"-ის კონტორას, რუსთველის ქუჩა (გოლოვინის პროსპექტი) № 10. 3—2186—1

## უმუშევართა დღეები

7, 8 და 9 მარტს 1919 წ.

სახელმწიფო თეატრში Gala—სპეკტაკლი.

ზალივსკის და საბანეევას მონაწილეობით

## კომორრა

ოპერა სამ მოქმედებათ. მუსიკა ექსპოზიტოსი.

მონაწილეობას ღებულობენ: ხპიტკო, იანსა, ვიშემირსკაია, პოლიაევი, ვროსკი, იხეცკი, დემიანენკო, კურბატოვი, ეზროვი და სხვები.

I I.

## ქორწილი მოლორონში

ბალეტი

მონაწილეობას იღებენ: ბაუერზაკსი, ლეონოვა, ვ...კარეცი, დემიანენკო და სხვები.

ბილეთები ყოველდღე იყიდება კასაში.

3—1

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 5 მარტს ქართულ ენაზე დღეს, 5 მარტს

## დემონი

ხუთშაბათს 6 მარტს ტ. ი. საბანეევას, მ. ი. ალეშკოს, კანშინის და ისეცკის მონაწილეობით „ჰუგენოტები". 7 მარტს უმუშევართა დღე „კამორრა".

მედიცინის დოქტორი

## ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) სავილე ტელეფონი № 43. 60—2171—4

## საჭიროა მიძა

მივცემთ თვეში 250 მანეთს. მსურველმა მიჰმართოს ოლღას ქუჩაზედ სახლი № 49 იკითხოს ქოშულოვი. 2—2182—2

## მენშევიკების პლანები

დამფუძნებელ კრების მოლოდინში მენშევიკები ბევრს ლაპარაკობენ და ბჭობენ მორიგ სახელმწიფოებრივ რეფორმებზე და წინდაწინ თავიანთ პლანებს ნიადაგს უმზადებენ. პირველი საკითხი, რომელსაც ეხება მენშევიკური პრესა—არის მართველობის გამარტივება. ეს საკითხი მათი ინიციატივით დაისვა და ბ. ნოე ჟორდანიამ ამის შესახებაც მოხსენება წაიკითხა. პარტიულ ორგანიზაციების კრებაზე.

მისი აზრით მართველობის გამარტივება, იმდენად არ არის სიძვირით გამოწვეული, რამდენათაც იმით, რომ მართველობა სათანადოთ არ ემსახურება ხალხის ინტერესებს.

„ერთობა"-ც ეხება მენშევიკების სახელმწიფო აპარატის უვარგისობას და შემდეგ აღსარებამდე მიდის, ეს აღსარება ღირსია დამახსოვრების და აღნიშვნისა.

„აპარატის უვარგისობასაც რომ თავი დავანებოთ, სწერს „ერთობა", აღსანიშნავია ის, რომ დღეს ფაქტიურად თითქმის არც ერთი დაწესებულება არ მუშაობს. ადმინისტრაცია მოშლილია, ხოლო სასამართლო სრულებით დანგრეული. რაც შეეხება სასურსათო საბჭოს და საინტენდანტოს, ამათზე ლაპარაკიც მეტია: ხალხის თვალში ეს დაწესებულებები უთავბოლობის და ბოროტმოქმედებათა სინონიმებით არის გადაქცეული. ყველა ამას ბოლო უნდა მოეღოს. და აქ საჭიროა მეტი სიმტკიცის და სისტემატიური მოქმედების გამოჩენა, რადგან ბევრი დაწესებულება სავსეა ისეთი ხალხით, რომელსაც არა მარტო უნარი აკლია საქმიანობის, არამედ ხალისი და სურვილიც კი არ აქვს, რომ რაიმე გააკეთოს..."

მართლაც საშინელი უნდა იყოს მდგომარეობა და კრიზისი, რომ თვითონ მენშევიკები ასე ახასიათებენ თავიანთ თავს და თავიანთ მოღვაწეობას; ამას იქით წასვლა შეუძლებელია.

მაგრამ როგორც ყოველთვის, მენშევიკები იმედს არ კარგავენ და კიდევ მოელიან განახლებას. „ერთობა" ვერ ითმენს და წინდაწინ გვიპასუხებს.

„ბევრს და მათ შორის „გრუზიას" ჰგონია, რომ საქართველოს განახლება რევოლუციის მონაპოვართა გაუქმებით არის შესაძლებელი, ასე ფიქრობენ დაახლოვებით ჩვენი ეროვნული დემოკრატებიც".

ნამდვილათ კი ჩვენ დაახლოვებით შემდეგს ვფიქრობთ: მენშევიკებმა დროა თავი დაანებონ რევოლუციის ექსპლოატაციას, დიდი ხანია რაც მენშევიკებმა გაათავეს რევოლუციით თამაში. ყველაფერი, რაც არის რევოლუციაში კეთილშობილი და შთამგონებელი ასცილდა მენშევიკებსა, მათი ფხიზელი ჭკუა უფრო საკუთარ თავის მოწყობაზე ფიქრმა გაიტაცა და აქ მართლაც მიაღწიეს საჭირო შედეგებს. თავის თავის მოწყობას მენშევიკებმა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენება დაარქვეს და დღეს კი თვითონვე ასე სასტიკათ სჯიან თავიანთ თავს და იძულებული არიან სთქვან რომ მათი შექმნილი სახელმწიფოს აპარატი დამღუპველია და ხალხის ინტერესებს არ ემსახურება. ჩვენთვის დიდი საკითხია, როგორ უნდა გამარტივდეს მართველობა, რომ მართლა დაეგვანოს რამეს: რა სასწაულით ისწავლიან ჭკუას და სახელმწიფოს მართვის სიბრძნეს ის ხალხი, რომელთაც, თვითონ „ერთობის" თქმით უნარიც აკლიათ საქმიანობის და ხალისიც. ჩვენ ვეკითხებით მენშევიკებს, თუ ამდენხანს მართველობა სავსე იყო ისეთი ხალხით რომელთაც თვითონ ასე სასტიკათ ახასიათებს, რატომ დროზე არ მოხდა გაწმენდა?

მაგრამ ჩვენ მართლა გვგონია, რომ საქართველოს განახლება უნდა მოხდეს „რევოლიუციის მონაპოვართა გაუქმებით"... რევოლიუციის მოპოება კი იმაში გამოიხატება, რომ ყველა მენშევიკმა საქმე იშოვა, ყველა დაწესებულება ხელში ჩაიგდეს და თავიანთ ხალხით გაჭედეს. ჩვენ დიდი ხანია გადავეჩვიეთ მენშევიკებთან რევოლუციაზე კამათს და რევოლუციის მონაპოვართა გაუქმებაზე ლაპარაკი მარტო ირონიით შეიძლება.

მაგრამ მენშევიკები ვერასდროს ვერ გაბედავენ ზედმეტათ გაამარტივონ მართველობა, ისინი ვერ მოშლიან თავიანთ კლიენტლას და გამარტივება, ალბათ შეეხება იმ ორიოდე ქართველს, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა იმისთვის, რომ სახელმწიფოსთვის სამსახური გაეწია, გარდა იმისა, რომ დროზე ვერ გაჩნდა მენშევიკი.

შემდეგ წმინდა მენშევიკური მართველობა უფრო გაამართლებს სახელმწიფო აპარატს და დააკანონებინებს დამფუძნებელ კრებას...

## ნოტა

### უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს

ჩვენ ოფიციალური ცნობები მივიღეთ მთიელთა მთავრობისაგან, რომ მოხალისეთა არმიის მთავარმა სარდლობამ მოსთხოვა ჩრდილო კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკის მთავრობას ძალაუფლების გადაცემა სარდლობისათვის, ხოლო ყველა მთიელ ხალხს მოსთხოვა სამხედრო ნაწილების დაშლა მოხალისეთა არმიის შესავსებლად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ჰფიქრობს, რომ მოხალისეთა არმიის მთავარი მიზანი საზოგადოდ და ჩრდილო კავკასიაში კერძოდ თანახმად მისივე განცხადებისა, არის ბრძოლა ბოლშევიზმთან და ამიტომ მთიელთა მთავრობისათვის წარდგენილი მოთხოვნილება ერთა-თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევაა მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა, რომლის ცნობა თუ უარყოფა მსოფლიო კონგრესზეა დამოკიდებული.

ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობა რომელიც ემყარება კავკასიაში არსებულ ისტორიულად და ეკონომიურად დაკავშირებულ რესპუბლიკათა ურთიერთ ნდობას, ავალებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას კატეგორიული პროტესტი განაცხადოს მოხალისეთა არმიის სარდლობის ძალმომრეობითი მოთხოვნების წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია მთიელთა რესპუბლიკის მცხოვრებთა ინტერესების წინააღმდეგ და აიძულებს მთიელებს ბოლშევიკური გზით იარონ, რაც კავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებას შეაფერხებს.

ჩემი მთავრობის დავალებით საპატიოდ ვთლივ ვაუწყო ზემოხსენებული თქვენს აღმატებულებას და განუცხადო, რომ საქართველოს მთავრობა სრულ თანაგრძნობას და სოლიდარობას უცხადებს მთიელებს მათი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

## ბრძანება

თბილისის გარნიზონისადმი

26 თებერვალი, 1919 წ.

ქ. თბილისი.

№ 57.

§ 2.

მიუხედავათ სამხედრო მინისტრის სასტიკი ბრძანებისა, გამოცემულნი 1918 წ. 22 მარიამობისთვეს და 16 ოქტომბერს №№№ 48,135 და 147, მე არა ერთხელ შევნიშნე, რომ ზოგიერთნი ოფიცერთაგანნი ატარებენ არა მითვისებულ ხარისხის პოგონებს, რომ ოფიცრები, ექიმები და ხარისხოსნები, რომლებიც ითვლებიან სამხედრო ნაწილებში და სხვა და სხვა სამხედრო უწყების დაწესებულებებში არ ატარებენ მითვისებულ ცივ იარაღს. ოფიცრები, ექიმები და ხარისხოსნები სათადარიგოთ მყოფნი ანუ მთლად სამხედრო სამსახურიდან მივლინებული უმუნდიროთ მაინც ატარებენ პაგონებს, წინადადებას ვაძლევ ჩემდამი რწმუნებულ გარნიზონის სამხედრო პირთ, რომ ზემო-აღნიშნული სამხედრო მინისტრის ბრძანებები, ყოველ მიზეზის გარეშე, სასტიკად სრულდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან. ამასთანავე ვუბრძანებ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოს ადიუტანტებს თვალ-ყური ადევნონ ზემო-ხსენებულ ბრძანებების სასტიკად და სწორედ სისრულეში მოყვანას. თვითეულ შემთხვევებში, დამნაშავენი წარმოდგენილი იქნებიან ჩემ სამმართველოში.

ხელს აწერს: გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი მაყაშვილი.

## ბრძანება

თბილისის გარნიზონისადმი.

ქ. თბილისი.

22 თებერვალი, 1919 წ.

№ 53.

§ 3.

მიუხედავათ სამხედრო მინისტრის ბრძანებისა და განმეორებითი წინადადებისა თბილისის გარნიზონის უფროსისა, მე უკანასკნელ დროს შევნიშნე, რომ სამხედრო პირნი როგორც ოფიცრები, ისე ჯარის კაცნი არ ასრულებენ იმ წესდებას, რომელიც ეხება სამხედრო ზრდილობას და სალმის მიცემას. სამხედრო ზრდილობის წესები ერთნაირად სავალდებუ-

80

# უკანასკნელი ცნობები

საქართველოს დამფუძნებელი კრება 12 მარტს, დღის 12 ს. გაიხსნება.

სადღაც ყაზბეგთან 3000 ქართველ ლტოლვილს მოუყრია თავი.

ამერიკიდან უცხოელ ელემენტებს ასახლებენ ბოლშევიკურ პროპაგანდისთვის.

გერმანელი სოციალ-სტები სკანდინავიაში დიდ პროპაგანდას ეწევიან.

დაპატიმრეს სპარტაკელების ახალი ბელადი ლინდემანი.

სამხედრო უწყებამ მასწავლებლები მობილიზაციიდან განთავისუფლა.

ლოა ყველა სამხედრო პირთათვის [illegible] უფროსის ან მეუფროსის წინაშე წესრიგიანობის ან საჯარო ადგილას საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დარღვევის შემთხვევაში და სალამის მიუცემლობისას, უფროსი ან მეუფროსე მოვალეა ხელქვეითს ან უმცროს მოაგონოს და გარდა იმ პირთა რომელთა დაპატიმრება წესრიგიანობითი გზით შეუძლებელია, მაშინ ყოველი უფროსი და მეუფროსე მოვალეა შეატყობინოს მომხდარზე დამნაშავის უფროსს ან ქალაქის კომენდანტს. უმცროსი მოვალეა აასრულოს მეუფროსის ბრძანება და მოახსენოს მოთხოვნისამებრ თავის გვარი და სამსახურის ადგილი. ამგვარ შემთხვევებში ყოველგვარი რბილი მოკიდება ითვლება სამსახურის მოვალეობის დარღვევად და უფროსთ და მეუფროსეთ იმდენადვე პასუხის მგებლად ჰხდის რამდენადაც ხელქვეითთ და უმცროსთ. სამხედრო ზრდილობის თვალსაჩინო გამოხატულება არის სალამის მიცემა წესდების თანახმად. სალამის მიცემა კი სიმბოლოა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების წევრთა ერთობისა; ის არის პატივისცემა და თავაზიანობა სამხედრო მოსამსახურეთა ერთმანეთისადმი. ამიტომ სალმიანობა სავალდებულოა, როგორც უფროსების და მეუფროსეებთათვის, ჯარის კაცების მიმართ, აგრეთვე უფროსების და მეუფროსეთათვის ხელქვეითთა და უმცროსთა მიმართ.

§ 4.

წინადადებას ვაძლევ ყველა ოფიცრებს განურჩევლად ხარისხისა, რომლებიც ჩამოვლენ ქალაქში თავიანთ საქმეებისათვის ან და სამსახურის გამო, გამოცხადდნენ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში და წარმოადგინონ სათანადო საბუთები თავიანთ ჩამოსვლის შესახებ და მისამართი. [illegible]

გარნიზონის უფროსი: გენერალ მაიორი მაყაშვილი.

## აზერბეიჯანის ვითარება

აზერბეიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელ დროს დამაფიქრებელ ფაქტებს აქვთ ადგილი.

შესაძლებელია, ბევრი არა სასურველი მოვლენა ამ სახელმწიფოში მიეწეროს გარდამავალ ხანას, მაგრამ ზერელე მეთვალყურესათვისაც ამ ჟამად ცხადია, რომ დღეს-დღეობით აზერბეიჯანის სუვერენიტეტი ნომინალური თვისებისაა.

თუმცა „ერთა თვითგამორკვევის" იდეის განსახიერება დიდ სახელმწიფოების პოლიტიკურ პროგრამიდან ჯერ კიდევ ამოუშლელია, თუმცა ამ ლოზუნგით მოქმედებენ დღესაც საერთაშორისო პოლიტიკის ტონის მიმცემი სახელმწიფონი, მაგრამ ვინ არ იცის, რომ მათ უწინარეს ყოვლისა ამოძრავებს საკუთარი ინტერესი.

ხალხთა სოციალური ბუნება მსოფლიო ომის განმავლობაში მაინცა და მაინც ისე რადიკალურად არ შეცვლილა, რომ სახელმწიფო ერთეულებს ისტორიის მიერ ნაანდერძევ მეთოდისთვის ეღალატოთ და სრულიად საწინააღმდეგო გზით ეწარმოებინოთ საშინაო, თუ, მით უმეტეს, საგარეო პოლიტიკა.

ჩვენის აზრით, ბაქოს დაუშრეტელ სიმდიდრეს უმნიშვნელო ბრალი არ მიუძღვის აზერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შებღალვაში და ის ინტერესების შეჯახება, რასაც დღეს ადგილი აქვს ნავთის სამეფოში, უსათუოდ ასუსტებს აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივობას და თითქმის არარად ჰხდის მის ფაქტიურ გამოსახულებას.

აზერბეიჯანის ახალი სახელმწიფოებრივობა ისედაც მრავალ დამშლელ მიზეზს შეიცავდა: თურქ-აზერბეიჯანის ხალხი მოუმზადებელი შეჰხვდა ბედის წყალობას! სახელმწიფო აპარატი ერის მესვეურებს ძალაუნებურად სხვათა ხელში უნდა გადაეცათ და მრავალმხრივი და რთულ სახელმწიფო ფუნქციებისათვის გაჩნდნენ ის უამრავი რუსი ბიუროკრატ-მოხელენი, რომელნიც ადგილობრივაც მოიპოვებოდნენ და მომეტებულ ნაწილად კი ახალ რესპუბლიკას ჩვენ სამშობლოდან ეახლნენ და რომელნიც აზერბეიჯანის მთავრობაში ჰხედავდნენ მომავალ მთლიან რუსეთის მფლობელობის წინამორბედს.

ნახევარი მთვარის გამოსახვა დროშებზე და სახელმწიფო ნიშნებზე საკმარისი არა ყოფილა სუვერენობის დასამკვიდრებლად! ცენტრში და ადგილობრივ დაწესებულებებში გამეფებული რუსული ენა უფრო რეალური დასაბუთებაა სხვა ძალის განმეორებითი შემოსვლის აუცილებლობისა, ვიდრე მკვდარი და უტყვი ემბლემა, ფართო მასსისთვის მიუხდომელი და, თუ გნებავთ, უაზრო.

აზერბეიჯანის სატახტო ქალაქი რუს-ინგლისელების კოლონიას უფრო წააგავს,—ისე უჩინარი და უმნიშვნელოა იქ თავისუფალი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მაჯის-ცემა.

თუ ბედმა უმუხთლა ჩვენს მეზობელ ერს და ძველ მპყრობელს შეძლება მიეცა ამ სახელმწიფოში ხელახლა დაბრუნებისა, საკმარისი იქნება ათეული პიროვნება დათხოვნილად გამოცხადდენ, რომ ისევ წინანდებულად ამუშავდეს სახელმწიფოს მექანიზმი.

აზერბეიჯანის მთავრობა, უეჭველია, ჰგრძნობს, რა სახიფათო ელემენტს ჩაიბარა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, მაგრამ გამოუსწორებელმა მდგომარეობამ მას გადაადგმევინა ეს, შეიძლება კიდეც, საბედისწერო ნაბიჯი.

სახელმწიფო თვითარსებობის განმტკიცებას წინ ეღობება აგრეთვე აზერბეიჯანის ხალხის დიდი უმეტესობის უკიდურესი ინერტობა, რაიც, სხვათაშორის, აიხსნება მისი კულტურული სისუსტითა და პოლიტიკური შეუსმენლობით.

ოსმალეთის მცირე ვადიანი მართებლობისას აზერბეიჯანის ხალხი აღგზნებული იყო ნაციონალურ-რელიგიურ იდეით და დარწმუნებული იყო პანისლამისტურ ზრახვათა აღსრულებაში, —ამით, ალბად, გასაგები ხდება უეცარი და უსაზღვრო ენტუზიაზმი, რომლითაც ოსმალთა შემოსევის პირველ ხანაში აენთო კავკასიის სამაჰმადიანო ნაწილი!

მძლავრ მოკავშირე სახელმწიფოს საშინელმა კატასტროფამ აზერბეიჯანის წინაშე ორიენტაციის საკითხი დააყენა და ეს გადაფასება პოლიტიკური სიმპატიის მმართველ წრეებმა შედარებით უმტკივნეულოდ მოახერხეს, ხოლო ამას ხალხის ფსიხიკა ოდნავაც ვერ შეეგუა! ხალხი ჰგრძნობდა ერთმორწმუნე ოსმალეთის მფარველობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივ მისწრაფებათა დაკმაყოფილებას და ამავე დროს დაჯერებული არ იყო, რომ ბრწყინვალე პორტას პოლიტიკური განადგურების შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო სამაჰმადიანო მცირე ერთეულების განცალკევებული და საკუთარ ძალებზე დამყარებული სახელმწიფოებრივობა...

უკანასკნელ ხანებში აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა არა ერთხელ ჩავარდნილა განსაცდელში: ახალ რესპუბლიკის შესახებ ჩამოსულ ინგლისელებს შეუსაბამო ინფორმაციას აწვდიდნენ უმთავრესად სომხები და ხელმწიფებას მოკლებული რუსები. ბაქოში აუარებელი ბნელი ძალები და ავანტიურისტები დაძრწოდნენ, რომელთა „მისსია" პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველივე საშუალებისათვის მიემართად საძულველ რესპუბლიკის დასამხობად! სწორედ ამ დროს ხელმეორედ გაჩნდა ბაქოში „მთლიანი რუსეთის მხსნელი და აღმდგენელი" ოფიცერი ბიჩერახოვი, რომელმაც განსაკუთრებული მანიფესტით „საყოველთაოდ" გამოაცხადა კავკასიისა და კასპიის მთლიანი სახელმწიფოს დაარსება... ამავე დროს ანდრანიკას ბრბოები ყარაბახს შეესივნენ და აზერბეიჯანის მოსახლეობა „ცეცხლითა და მახვილით" შემუსრეს.

აზერბეიჯანის განათლებული ინტელლიგენცია გულწრფელად და დაუზოგველად მუშაობს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად! მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობისა რესპუბლიკის პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროში ნაყოფიერად ილვწის დარბეულ მშვიდობიან მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, მაგრამ გამთიშველი ძალები უფრო მეტის ენერგიითა და გაშმაგებით განაგრძობენ სახელმწიფოსათვის საზიანო მოქმედებას.

ამ აუტანელ პირობებში მოღვაწეობდა უკანასკნელ დღეებში გადადგომილი ფათ-ალი ხან-ხოელის კაბინეთი. მთავრობის ოფიციოზური გაზეთი „აზერბეიჯანი" დიდს მწუხარებას გამოსთქვამს განათლებულ პრემიერის წასვლის გამო! აზერბეიჯანის გულწრფელ მოკეთეს და კავკასიის სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარების მოსურნეს მართლაც დაალონებს ხან-ხოელის პოლიტიკურ ასპარეზიდან ჩამოშორება. მისი გადადგომა საზარალოა საქართველოსათვისაც, რადგანაც ხან-ხოელი ჩვენი სახელმწიფოს პატივისმცემელი იყო მუდამ და საქართველოსთან კეთილმეზობლობაში სამართლიანად ჰხედავდა თავისი სამშობლოს სახელმწიფოებრივ განვითარებისა და წარმატების ფაქტორს. მართალია, საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის არის გადუჭრელი სადავო საკითხები, ამ სახელმწიფოთა შორის საბოლოო ტერიტორიული გამიჯვნა ჯერ არ დამთავრებულა, რის გამო გაუგებრობასა და კონფლიქტებს ადგილი ჰქონია ჩვენ შორის, მაგრამ ბეჯითი დაკვირვება გვარწმუნებს, რომ არა ნაკლები ბრალი გამოურკვეველ მდგომარეობაში საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებსაც მიუძღვით და, ჩვენ ვფიქრობთ, დროზე მიღებული ზომები ჩვენი მთავრობისა ამ დრომდე ჩაანელებდა უთანხმოების გამომწვევ მოვლენას და ჩვენი დამოუკიდებულება მეზობელ მაჰმადიან ხალხთან ნორმალურ დანიშნულებას მიიღებდა.

აზერბეიჯანის დღევანდელი მდგომარეობა, ამ სახელმწიფოს პოლიტიკური კრიზისი საქართველოს წინაშეც აყენებს memento mori-ს საკითხს. მდგომარეობა დღითი დღე რთულდება და მხოლოდ არჩევნებში „გამარჯვებით" დაბრმავებულ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ყველაფერი თავის წესზეა...

ბაქოელი გაზეთი ირწმუნება, რომ ხან-ხოელის გადადგომა მისი ნერვიულ დაქანცვით არის გამოწვეული. აზერბეიჯანის სახელმწიფოში შექმნილ პირობებს რკინის ძარღვებიანი ადამიანიც ვერ აიტანს და ხამ-ხოელის კაბინეტიც მას შეეწირა!

პარლამენტი ახალ კაბინეტის არჩევას შეუდგა, მაგრამ დამთავრდება ამით სახელმწიფოს კრიზისი?!

შავი ლანდები დაჰტრიალებენ მეზობელ სახელმწიფოს და მხოლოდ ხალხის შეუდრეკელი ნებისყოფა და უკიდურესად ამუშავებული ეროვნული ენერგია დაათრგუნვინებს მას რესპუბლიკის დამრღვევ ძალებს.

რ. ინგილო.

## სომხეთ-საქართველოს კონფერენცია

სომხეთ-საქართველოს პირველ კონფერენციაზედ, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში მოხდა მოკავშირეთა სარდლობის ხელმძღვანელობით განხილულ იქმნა მხოლოდ რამოდენიმე საკითხი, რომელნიც განსაკუთრებით ეხებიან ხსენებულ სახელმწიფოთა ურთიერთობას. ყველა დანარჩენ საკითხთათვის, კონფერენციის დადგენილებით უნდა მომხდარიყო პირდაპირი შეთანხმება ორივე მხარისა.

უკანასკნელ დღეებში, სავსებით შეთანხმდნენ კონფერენციის დროსა და შემადგენლობის საკითხებში და პირველი კრება გაიხსნა 28 თებერვალს.

სომხეთის მთავრობის მხრით კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ დელეგაციის ყოფილი თავმჯდომარე მ. არუთუნიანი და წევრები: ს. მამიკონიანი, ს. ხაჩატურიანი და ა. ხონთქარიანი; საქართველოს დელეგაცია, ჯერ-ჯერობით წარმოდგენილი არის ნოე რამიშვილით და კ. საბახტარიშვილით.

კონფერენციაზედ თავმჯდომარეობა უნდა გაეწია მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, მაგრამ დროებით მის ნაცვლად თავმჯდომარეობს ბ-ნ ნოე რამიშვილი.

პირველსავე სხდომაზე, ორივე მხარის მიერ გამოთქმულ იქმნა კეთილი სურვილი, რომ მიღწეულ იქმნას სრული შეთანხმება განსახილველად დასმულ ყველა საკითხებში.

კონფერენციაზედ დასმულია შემდეგი საკითხები, რომელნიც როგორც სჩანს, შეთანხმებით იქნებიან გადაწყვეტილები. საქონელის თავისუფალი ტრანზიტის შესახებ, თავისუფალი მიმოსვლა, სარკინის-გზო მოძრაობის გაუმჯობესების, საფოსტო და სატელეგრაფო ურთიერთობის მოწესრიგება და აღდგენა დიპლომატიური ურთიერთობისა.

საფოსტო-სატელეგრაფო კონვენცია, უკვე დამტკიცდა და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილია. ძალაში შევიდა 1 მარტიდან.

თბილისში აგრეთვე გაიხსნა სომხეთის დიპლომატიური მისია, ძველის უფლებებით. დროებით, სომხეთის ახალი დიპლომატიური წარმომადგენელის დანიშვნამდე, ხსენებულ თანამდებობას ასრულებს დიპლ. წარმომადგ. თანაშემწე თ-დი მ. თუმანოვი.

ჯერ-ჯერობით შეთანხმება მიღწეული არ არის სომხეთის კორპუსის ქონების შესახებ და სომხეთის მთავრობისადმი კუთვნილ 13 მილიონის შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დაკავებულ იქმნა სომხეთ-საქართველოს ომის დროს, ამ საკითხებში მოლაპარაკება სწარმოებს და კონფერენციის მონაწილეთ იმედი აქვთ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება.

## ქრონიკა

**დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.** საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმი და დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების პირველი სხდომა 12 მარტს 12 საათზე შესდგება. ადგილი სხდომისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

**შტატის შემოკლება.** გზათა სამინისტროს მთავრობამ აცნობა, რომ სამინისტროს შტატის შემოკლება საბოლოოდ გადაწყვეტილია. სამინისტროს შტატი უნდა შესდგებოდეს მხოლოდ 10 კაცისაგან.

## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

15.

ეხლაც ისევ მადლიერმა ხალხმა მოიფიქრა შესაფერი პატივი ეცათ დიდებულად გამარჯვებული მეფისათვის, რომელს უკვე დაეთავებინა სარკინოზთა ალხოცვა და პირი ექმნა ლტოლვილთა ბანაკისაკენ. ხალხის მსხნელად და მფარველად მოვლინებულ მეფეს უნდა ეგრძნო თავის ერში უჩრდილო რამ სიხარული გულის დასაშო; უნდა ამოფხვრილიყო მის სულში ნასახიც იმ ტკივილებისა, რომელიც განეცადა მას თავის დამარცხების დროს! დიდი იყო ის მარცხი, კინაღამ წარსტაცა იმან ნაშრომი მთელი სიჭაბუკისა და თვით სამეფო სამკვიდრებელი; იქნება თავიც, ცოლ-შვილიც შეეწირნა გალაღებული მტრისათვის. სასწაულებრივ გაიმარჯვა. აწ უკვე გადაევლო უბედურების ქარტეხილს. დაეთავებინა აშოტს შეძრწუნებული მტრის დევნა, სავსებით მოესთვალა ნაყოფი თვისის საარაკო გამარჯვებისა, გაემაგრებინა გზები თუ გარდასავალნი, ჩაესახა დარაჯნი ციხე-კოშკებში და ისე შემობრუნებულიყო. აგერ მშვიდობით შეეყრებოდა თავის ოჯახს და იმ ხალხს, რომელნიც განსაცდელის დროს აწინაურა თავის სახლობასთან ერთად.

ამბავი მოვიდა, მეფე მობრძანდება, მზის დახრამდის აქ იქნებაო. ამ ამბავმა თითქო მაგდენი შთაბეჭდილება არ მოახდინა დედოფალზე: არ დაიმჩნია სიამე, წარბიც არ შეიხარა; ისე მიიღო ეს გასახარი თქმა, თითქო წინდაწინვე იყო გამოთვლილი, სწორედ ესე დიდებულად უნდა დაბრუნებულიყო იგი იმ განწირულ ბრძოლიდან.

— იქნება ვერც კი აქვს კარგად შეგნებული, რომ ესე სასიკეთოდ მოხრა გარემოებისა სასწაულებრივი წყალობაა სახიერისა.

— როგორ შეიძლება?! არა, ალბათა ჰგონია, გრძნობის ადამიანური დაჩენა სხვებს დაუსწორებს მას და მით დაამდაბლებს ფრიად ბრწყინვალეს.

ხალხმა გულწრფელად გაიხარა ამ ამბის გაგონებაზედ, გაიღიმ-გაიცინა სიამოვნებით, აღტაცებაში მოვიდა, თითქო აღდგომის ზართა-რეკვაზედ. ხალხშივე მსწრაფლ დაიბადა ისეთი აზრი, რომელიც ცხადად დაანახებდა მეფეს ერის მისადმი დიდ სიყვარულს. განაცდევინებდა სიხარულს, რომელი უჭკნობ ყვავილად გადიფურჩქნებოდა მის ლამაზ გრძნობათა წალკოტში. დაასკვნეს, ზეიმით შეჰგებებოდა მომავალ გმირს გამარჯვებულს, მიელოცნათ მისთვის წყალობა ღვთისა. მოედვა ეს ჰაზრი ბანაკს, იპოვა მან სახეც განსაზღვრული. ეახლნენ დედოფალს და მოახსენეს:

— ხალხი აღტაცებაში მოიყვანა გამარჯვებული მეფის მშვიდობით დაბრუნებამ. ყველა ლიტანიობით მიდის გმირთ შესახვედრად. დასტურსა გთხოვენ, გეხვეწებიან ინებო და სათავეში ჩაუდგე ზეიმს.

დედოფალი წინააღმდეგი არ იყო, თუ ხალხი მეტს პატივს დაიმჩნევდა მის მეუღლისადმი, აღტაცებას თუ თაყვანისცემას. თითონ კი არ ისურვა ჩასდგომოდა სათავეში ამ საზეიმო მსვლელობას: ეგონა, თუ შეეგებობდა მეფეს ხალხთან ერთად, შეუფერებლად დამდაბლდებოდა ერის თვალ შიც, თვის ქმრის წინაშე. ეს არ მოსწონდა უზომოდ განდიდებულს და შეყოყმანდა, პასუხი შეაგვიანა. მეტი ღონე კი არ იყო, უნდა ეთქვა რამ სადასტუროთ.

— შეეგებენით! შეამზადეთ ყოველივე! ბრძანა მან.

და მიუბრუნდა მოლარეს:

რაც ხარჯი დასჭირდეს ზეიმის მოწყობას, მიეცეს ჩემის საგანძურიდან!

შებრძანდა სახლში. დაფიქრდა მცირედ ხანს. ბრძანა მიერთმიათ შესაფერი ტანისამოსი მისთვისაც, უფლისწულებისთვისაც.

— ტრახტევანდსაც ბრძანებ, დედოფალო?

— არა! აქ შევხვდები მეფეს, უფლისწულებიც. ხალხი გზაზედ მიეგებოს, იქ მიესალმოს.

გაიტანეს ხალხში დედოფლის სიტყვა. წუთს დააფიქრა მისმა თქმამ მოზეიმენი, ერთს წამს არია იგინი. ცდის დრო კი აღარ იყო, არც მსჯელობისა. მოემზადნენ. დაეწყვნენ. გაემართნენ. მწყობრად მიდიოდა ხალხი, ნელის ნაბიჯით. ისმოდა მღერა ქებისა მფრქვევი. მოახლოვდა მეფე. გარდმოხდა ცხენიდან, ისე წამობრძანდა. დაქვეითდნენ ყველანი. შეტბორდა იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცობა. მათი მწყობრი მოძრაობა, მათი დაღარული შუბლი, მათი სახე სპილენძისაგან ნაჭედი, დინჯი მეტყველება მათის თვალებისა ძლიერ პატივცემას აგრძნობინებდა მხილველს მათდამი, აღავსებდა მის გულ იმედით: მხოლოდ სიკვდილს ძალეძვა იმათი ძლევა! სხვა ძალა არ არსებობდა მათი გამტეხი, შემრყეველი. ყველა გრძნობდა ამას. განმრავლდებოდა ღიმი ამაყი.

მეორე მხარეს, შესახვედრად მოსულებში, მრავლობდნენ ქალნი ან სახე მხიარულნი, ველის ყვავილებივით პირადპირადად აყვავებულნი. მათთან ბალღები, რომელთ სახეზედ უკვე გამქრალიყო შიში თუ ძრწოლა, ათამაშებულიყო სიხარული ფართო ღიმილად. იყვნენ ვაჟკაცებიც, თუმც არა მრავლად, მოხუცებულნი, გატეხილნი, დაავადებულნი. ერივნენ დაჭრილნიც იმდენად მოჯობინებულნი, რომ მათთვის შესაძლო შექმნილიყო ხალხში გამოსვლა. წითელ-ყვითლად შემკულ ქალებში ერივნენ ძაძით მოსილნიც, დათალხულები. ეს ისინი იყვნენ, ვის ქმარი, შვილი თუ მახლობელი ემსხვერპლა ბრძოლას. არა ტიროდენ, გაჰკაჟებოდნენ მათზე მოსულ უბედურობას. იმდენი ძალაც მოეკრიბნათ, მიჰყოლოდნენ ხალხს, არ გამორჩენილიყვნენ კრებულიდან, როცა ის დღესასწაულობდა ქვეყნის გადარჩენას. საყვარელ ადამიანთა მსხვერპლად უკვე გამდებნიც შეჰღაღადებდნენ სხვებთან ერთად ერის მხსნელ გმირებს, დალუპულ ძვირფასებთან მხარდამხარ ნაბრძოლ რაინდებს.

მიახლოვდა მეფე. გადაავლო მხიარული თვალი იქაურობას; ჩაათვალიერა მედღესასწაულენი. დედოფლის ტრახტრევანს ეძებდა იგი და უფლისწულებს. გული მთლად გაეღებოდა ვაჟკაცს, თუ იქ შეენიშნა ისინი. არსად სჩანდნენ. არ გამოსულიყო გურანდუხტ; არ გამოეგზავნა არც თვისი შვილები დალონდა მცირედ.

— ზვიადობას ნება არ მიუცია მისთვის ხალხს გამოჰყოლოდა. ალბათ არც ჩემი გამარჯვება მიაჩნია მეტის პატივის ღირსად. ეჰ, მისთვის მაინც მხოლოდ იარაღი ვარ დიდის დიდებისა. ოდეს სვე ამაღლებული დავიპყრობ იმ დიდებას, გურანდუხტისთვის მაინც მხოლოდ აღმასრულებელი ვიქნები განგების ნებისა; იქნება სუსტი მასრულებელიც, რადგან ჯერ ვერა ვწეულვარ სურვილს სანატრელს: ვერ მიმონიჭებია ჩემის ქვეყნისთვის დიდება ადერკისეული, სვესრულობა მირიანისეული, ძალთამძლეობა გორგასლანური. მაგრამ როცა გამწირავს ბედი თუნდ წამიერად, უღირსიც ვხდები, არა რჩეული. ესე ფიქრობს ის. უკვირს, რომ მადიდებს ერი. ალბად ეხლაც ხალხის თაყვანი ჭარბად მიაჩნია, ხოლო ჩემი ღვაწლი მარტო თანანადების სრულყოფად ჩემგან.

თანამგზავრთ იგრძნეს, ვის დაეძებდა თვალი მეფისა, მოჰკრეს თვალი ნაღვლის ღრუბელსაც მეფის სახეზედ.

16.

ისმოდა ტკბილ-შეწყობილი სიმღერა მრავალხმოვანი: მიმავალ ხალხს მიუძღოდნენ მომღერალნი დასდასად და ქებას შეჰძღვნიდნენ ერისათვის მზედ ამოსულ ბუმბერაზს. ხალხი ბანს აძლევდა, ხმას აყოლებდა: ყველას უმღერდა გული, ყველა მღეროდა თუ ღიღინებდა. მწყობრი გუგუნი ასიამებდა მეომართ სმენას, რომელთ ყურში ჯერ ისევ ისმოდა აბჯართა ჟღერა, ბრძოლის ძახილი გულშემზარავი, განწირულ მსხვერპლთა ძნელხმიანობა სულის მხუთავი. შესწყდა სიმღერა. ჩამოდგნენ მოწინავე დასნი, გზა მისცეს მიმლოცველებს. ახალგაზრდა ქალს მისგვერდზედ მიმავალმა ბერიკაცმა ხელთ მისცა ტაბაკი, რომელზედაც ეწყო პურ-მარილი, ხელადით ღვინო და შემოდგომის ყვავილთაგან შეთხზილი მცირე თაიგული. ქალმა მდაბლად დაუკრა თავი მეფე-ბუმბერაზს, მიაპყრნა მას თვალნი და მოახსენა:

— მიიღე, ხელმწიფეო მხსნელო, მცირე ზღვენი ნიშნად თაყვანისცემისა. ეს თაიგული იმის მასწავებელია, რომ სიხარულით აჰყვავა შენმა მარჯვენამ გამსაცდელით ჩამჭკნარი ჩვენი გული...

აქ სიტყვა შემოაკლდა ქალს და თვისი დიდი გრძნობა გამოხატა საიშვიათო შეხედვით, რომელში ისახებოდა ერთსა და იმავე დროს მოწიწება, აღტაცება, თაყვანისცემა, სასოება უსაზღვრო. მოკამკამე ცასავით უძირო თვალთაგან ქალისა იხედებოდა იმ წამს მისი გული მძლავრად ღელვილი, მისი არსება საამოდ განცვიფრებული. მეფემ თვალი დაჰკრა მანდილოსანს, რომ აღებეჭდა მისი სახე თვის გონებაში, გარნა ქალის თვალთაგან გამომკვირვალე ლაჟვარდ სხივებმა მოსტაცეს მას ხედვის ისარი და სავსებით აავსეს მისი სული, შთანთქეს მისი ყურადღება, მთლად ცნობიერება. ვაჟკაცი აწ ჰხედავდა მხოლოდ სასოებით მისადმი მიპყრობილ ცისფერ თვალებს, რომელნი ეთაყვანებოდნენ მას, ეალერსებოდნენ, თან ლამაზი ედემით ეფარებოდნენ საჩრდილად დახრილ წამწამთა დასებს. აშოტმა მხოლოდ ეს მეტყველი თვალები შენიშნა ქალის სახეზედ. ანდამატის ძალით მიზიდული ვაჟკაცი ვეღარც მოსწყდებოდა ჯადოსან თვალებს, თუ წინ არ წარმდგარი კაცი მხცოვანი მოახსენა:

— მძლეთა მძლეველო! ეს ზეიმით შენ წინაშე სვლა, შენ თაყვანებად მოგებება, ქალთა და ყრმათა დღესასწაულია: ისინი გილოცავენ დიდ გამარჯვებას. ეს იმიტომ, რომ ყველა ვაჟკაცი შენთან არის შენსავით თავდადებული. ვურევივართ ქუდოსნები, მაგრამ ისეთნი, რომელნი მეფის და ხალხის წინაშე ვალი უკვე მოგვიხდია: ან ჩემისთანა წელთა სიმრავლით უღონო ქმნილნი, ან ბრძოლის ველზედ დაჭრილ დაავადებულნი. მიიღე ჩვენგან, მფარველო ჩვენო, სამადლობელი ესე სალამი!

შესძლო აშოტმა თვალი მოეწყვიტა ქალისათვის. აიღო ღვინო. მიჰმართა:

— მადლობასა გწირავთ! გამახარა და გამამხნო ამ მოგებებამ. არ მოვაკლო ჩემს ხალხს პური და ღვინო, სინამ ცოცხალი ვარ. არ მოვსცილდე თქვენს სამსახურსა. შევსწირო თავი ჩემს სამეფოს და ჯვარს ქრისტესა. გაუმარჯოს საქრისტიანოს!

— გაუმარჯოს მეფეს დიდებულს! გაუმარჯოს მთელ საქართველოს!

— და იმის ნიშნად, რომ სუნნელ ყვავილად გარდაშლილა გული ჩემი თქვენის მშვიდობით ნახვით, სიამით მივიღო თქვენგან მოძღვნილი ყვავილ-

**ქართველი ლტოლვილები.** შინ. საქმეთა მინისტრმა ცნობა მი-, რომ სადგურ ყაზბეგთან 3000-დე ველი ლტოლვილები, შეგროვი- მათი მდგომარეობა აუტანელია, ში ნახევარი გირვანქა პურს აძ- ნ და ისიც დარიალის ხეობის ის უფროს პოლ. სრესელის პასუ-მგებლობით.

**კომისია.** გზათა მინისტრის მო-ლის განკარგულებით დაარსდა სია, გზათა სამინისტროს იურისტ-ულტის თავმჯდომარეობით. კო- რევიზიას გაუკეთებს მთავრო- საავტომობილო გარაჟს, მთავარ ლონოებისა და საავტომობილო ოფილებას.

**მასწავლებლები და მობილი-**ა. სახალხო განათლების სამინი-ომ სამხედრო სამინისტროდან მი- პასუხი თავის თხოვნაზე. სამხე- სამინისტროს დადგენილებით ავლებლები მობილიზაციისაგან სუფალნი არიან. სამინისტრომ შესახებ გუშინ ცირკულიარი და-ვნა ყველა საშუალო და სახალხო ავლებლების გამგეთ.

**შინაგან საქმეთა მინისტრთან.** ეებში შინაგან საქმეთა მინისტრს დგნენ ლიხაურის (გურია) საზო-ების წარმომადგენელნი, ბებურ ელაძე და სხვა, რომელთაც აუ- მინისტრს ოსმალეთის ომისაგან რალებულ ლიხაურის საზოგადოე-უწერო მდგომარეობა და სთხოვეს ნადო დახმარება აღმოუჩინონ ბულ საზოგადოებას. მინისტრი დღებით მოეპყრო მათ თხოვნას თანადო დახმარება აღუთქვა.

**დაგედხაჩან-ბოლნის-ხაჩინში.** რობის კომისია, რომელიც დაგედ-ბოლნისხაჩინში იყო გაგზავნილი ოლვილთა დასაბინავებლად უკვე უნდა. მათი სიტყვით მდგომარე-ბა აუტანელია. სოფლები ომის ეგ სრულიად განადგურებულია, ვრებთ აკლიათ სურსათი. გავრ-ბულია ავადმყოფობა. დაგედხა- 1,200 კაციდან 700 ავადაა. სა- ა სამედიცინო დახმარება.

**სომეხ ლტოლვილთათვის.** სომ- მთავრობამ, საქართველოს ტე-ორიაზე მყოფ სომეხ ლტოლვილ-ის 2,000,000 მან. გადასდო.

**ყუმბარის გასკდომა.** 3 მარტს, 12 საათზე, აკოპოვის საწვრი-დუქანში (არსენალის გზაზე) და ყუმბარა: რომელმაც იმსხვერ-დუქნის პატრონი, მძიმედ და-ეს ვ. აკოპოვის ცოლი, ბაგრა- და ერთიც უცნობი.

**ქურდობა.** 3 მარტს ა. ავეტი-ს ბინიდან (ვლასიურ გიმნაზ. ქ. 0) ბოროტ გამზრახველებმა 5000 ულად და სხ. და სხ. ნივთები არეს.

**გაძარცვა.** 3 მარტს საღამოს საათზე. უხურგუნოვის ბინაზე (სტრელკოვის ქუჩა № 13) შეიჭრნენ 5 შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველები და 145 მან. ნიკოლოზის ფული 46 მ. ვერცხლის ფული, ოქროს საათი და 1200 მანეთის სხვა და სხვა ნივთები გაიტაცეს.

**ქურდობა.** საავტომობილო განყოფილების საწყობიდან 20,000 მან. რეზინის შინები მოიპარეს. გამოძიება სწარმოებს.

**ლაქოვანი ავადმყოფობა.** უკანასკნელი ცნობების მიხედვით თბილისში სახადით ავად გამხდარა იანვრის განმავლობაში—1878 კაცი თებერვლის განმავლობაში კი—1833 ამათ რიცხვში შედის ბოლშევიკების ტყვე ავადმყოფები რიცხვით 98 კაცი.

**ქალაქის გამგეობის სესხი.** ქალაქის გამგეობა, თავის ფინანსიურ მდგომარეობის დროებით გასაუმჯობესებლად საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტიდან 3 თვის ვადით მილიონ ნახევარს სესხულობს.

**საავადმყოფოების კომისია.** ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ქალაქის საავადმყოფოების მდგომარეობა.

**ქალაქთა კავშირის ყრილობა.** საქართველოს ქალაქთა კავშირის გამგეობა 16 მარტისათვის იწვევს ქალაქთა კავშირის ყრილობას. ქალაქის გამგეობამ ყრილობაზე დასასწრებლად დელეგაცია აირჩია. დელეგაცია 5 კაცისაგან შესდგება. ერ.-დემ. დელეგაციაში შედის გ. გვაზავა.

**ისტორიკოსთა კრება.** დღეს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე, წ. კ. გ. ს. ბინაზე (სასახლის ქუჩა) დანიშნულია ქართველ ისტორიკოსთა კომისიის მორიგი კრება. წევრებს სთხოვენ დაესწრონ კრებას.

## სამხატვრო ქრონიკა.

**ქართული კონცერტი.** ახლო მომავალში ფოცხვერაშვილის მეთაურობით იმართება კონცერტი რომლის შემოსავალიც მოხმარდება ქართულ მუსიკის ისტორიის გამოცემას.

## პროვინციის ცხოვრება

### ახალ-სენაკი.

თებერვლის 28, ღამის 11 საათის 35 წამზე მოხდა სადგურისკენ დიდი სროლა, რამაც გამოიწვია ქალაქის დამცველების და მილიციონერების პასუხის გაცემა. სროლა გაგრძელდა 5 წამს. მთელი ქალაქის მცხოვრებლები შიშის ზარმა აიტაცა, მათ ეგონათ ქალაქის მძარცველ ბოროტ ძალებისაგან მომხდარიყო ყველა ეს, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ სროლა აუტეხიათ სუხუმიდან ჩამოყვანილ ჯარის კაცებს, რომელნიც ახალციხისკენ მიემგავრებოდნენ.

გ. კაკუბერი.

## არჩევნების შედეგი შორაპნის მაზრაში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო შორაპნის სამაზრო საარჩევნო კომისიის საქმის წარმოება, საიდანაც ირკვევა რომ 89,670 ამომრჩევლებიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 71,118. პარტიათა შორის ხმები ასეა განაწილებული: 1—39,047, 2—6086, 5-4052, 3—1302, 8—371, 9—124, 13—4, 11—3, 14—20.

## სომეხ ქართველთა თათბირი

28 თებერვალს შესდგა სომეხ ქართველთა თათბირი, რომელზეც პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები გაირჩა, სხვათაშორის საქართველო-სომხეთს შორის მიმოსვლის აღდგენის საკითხი. პრინციპიალურათ მიღებულ იქმნა თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარ საქონლისა; გაუქმებულ იქნება ყოველგვარი მოწმობები მოგზაურობისათვის და აღდგენილ იქნება თავისუფალი მიმოსვლა, ხოლო ყოველ მგზავრს უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა.

1 მარტიდან ძალაში შედის ფოსტა-ტელეგრაფის კონვენცია საქართველოსა და სომხეთს შორის დადებული. საქართველოს მთავრობა არ მიიღებს რაიმე სასტიკ ზომებს იმ სომეხ მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომლებმაც აჯანყება მოახდინეს საქართველოს წინააღმდეგ.

სომხის დელეგაციამ მიიღო საქართველოს წარმომადგენელთა წინადადება კავკასიის ოთხ რესპუბლიკათა კონფერენციის მოწვევის შესახებ.

## საქართველოს წითელი ჯვარი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხარჯით ამ ჟამად მოქმედებენ ახალციხის ფრონტის საჭიროებისათვის:

1. ქირურგიული ლაზარეთი ბორჯომში 50 საწოლით.
2. საკვები პუნქტი.
3. მფრინავ შესახვევი რაზმი.
4. სასანიტარო სადეზინფექციო მატარებელი.

გარდა-ამისა საქ. წითელ ჯვარმა დახმარება აღმოუჩინა ქალთა კომიტეტის ბორჯომში მომქმედ დაწესებულებას საჭირო ნათხოვნი ნივთების მიწოდებით.

აგრეთვე წითელმა ჯვარმა სოჩისკენ გაგზავნა მფრინავი რაზმი და გახსნა გუდაუთში 20 საწოლიანი ლაზარეთი.

## სასურსათო საბჭო

ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში ამასწინად გავრცელდა ხმები იმის შესახებ, ვითომ გადაწყვეტილია ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების გაუქმება. ამით ეუწყებათ მცხოვრებთ საყურადღებოდ, რომ ეს ხმები არ შეეფერება სინამდვილეს და გაზეთების ცნობები გაუქმების შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

ვინაიდან სასურსათო საბჭომ გადასცა ქალაქის თვითმართველობას განზრახული რაოდენობა შაქრისა, სასურსათო განყოფილება იძულებული არის იანვრის კუთვნილი შაქარი დაარიგოს სულზედ თითო გირვანქა.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**ფოთის ქალაქის საბჭო**

**ფოთი,** მარტის 4. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). 2 მარტს, საღამოს 7 საათზე შესდგა ქალაქის ახალი საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ლავროს კილურაძე (ს.-დ.) მის ამხანაგათ არ. სამსონაძე (ს.-დ.) და მდივნათ ქალაქის გამგეობის მდივანი ოსიძე (უპარტიო) ქალაქის მოურავად აირჩიეს ალ. კორძაია (ს.-დ.) ქალაქის გამგეობაში გაჩიტაია. ინწკირველი და ჰ. ქუთათელაძე.

**ახალი საბჭო ბაქოში**

**ბათუმი.** თებერვლის 27. (მიღებულია დაგვიანებით). ბათუმს შეემატა კიდევ ერთი ახალი საბჭო, სახელდობრ: ბათუმის ოლქის მუსულმან ხალხის საბჭო“ საბჭოს დამტკიცების შესახებ მიმართულ განცხადებაზე ხელს აწერს ვინმე ათაბეგოვი, თუმცა გამოურკვეველია ვისზე ეყრდნობა ის. ცხადია მას კავშირი აქვს ბ-6 მასლოვთან. დღეს დილით მოულოდნელათ გაემგზავრა სტამბოლისაკენ გრაფი შულენბურგი. საოლქო საბჭოს მიერ აღდგენილ იქნა სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

**მოსკოვი** მილეროვსკის მიმართულების ნოვოჩერკასკის რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლით დიდი ბოროხინის ხაზზე გავიდენ. ცარიცინის სამხრეთით აღმოსავლეთით სადგურ მაროზოვსკაის დაჭერის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 7 ორთქლმავალი, 20 ვაგონი და ვაგონი 500 ყუმბარით.

**ეკატერინოსლავი.** წითელი ჯარი ხერსონს მიუახლოვდა ქალაქს მძიმე ზარბაზნებს უშენს. გერმანელი თეთრ გვარდიელები და ბერძნები გაიქცენ. გერმანელთა თეთრგვარდიელების მატარებელი, რომელიც ნიკოლაევიდან მიდიოდა ლიანდაგიდან გადავარდა. ხერსონის დეპო და სადგური იწვის. ჩვენი ცხენოსანი მზვერავები ქალაქში შევიდენ. ქუჩებში ბრძოლა დაიწყო.

**როსტოვი,** მარ. 2. ბელაია-ცერკოვიდან 20 ვერს. მდებარე სადგური შაგრაევკის დაჭერის დროს თავდამსხელ ჯარს დაეხმარა აჯანყებული გლეხები.

**იამბურგი,** მარ. 2. ესტლანდიის ქალაქებსა და დაბებში ფინების და ბარონების თავდაცვის პატარა რაზმები შესდგა. რეველში დატოვებულია 1000-ზე მეტი ფინელი მუშათა აჯანყების დროს ქალაქის დასაცავათ.

**ლიტვიის სოც.-დემოკრ. მე-6 ყრილობა.**

**რიგა.** მარ. 2. გაიხსნა ლიტვიის სოციალ-დემოკრატების მე-6 ყრილობა. სტეჩკამ აღნიშნა, რომ არას დროს ჩვენი ყრილობა არ შემსდგარა ისეთს პირობებში, როგორც ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს რუსეთიდან: ლენინი, გერმანიიდან კლარა ცეტკინა, ინგლისიდან მაკლინი, ამერიკიდან დებუ, იტალიიდან და საფრანგეთიდან სერატტი, ნორვეგიიდან და შვეციიდან ხემლუნგი. უკრაინიდან და რუმინიიდან რაკოვსკი და იაპონიიდან პარანნა: პრეზიდიუმში აირჩიეს: სტუჩკა, როზინი დანიშევსკი და სხვა. შემდეგ წაიკითხეს ტროცკის მისალმების დეპეშა, სადაც ის აღვნიშნავს ბოლშევიკთა პარტიის დიდ მნიშვნელობას, ლატვიის განთავისუფლების საქმეში ტროცკის პარტიის მთავარ მიზნათ მიაჩნია გაერთიანებული წითელი არმიის შედგენა ყრილობა ერთხმად იღებს სოც.-დემ. სახელწოდების შეცვლას-ლატვიის კომუნისტური პარტიის სახელით.

**ვილნო.** თებ. 28 ბელორუსიის და ლატვიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა კრებამ დაადგინა გაერთიანებულ რესპუბლიკას ეწოდოს ლატვიის და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. დროშა უნდა იყოს წითელი და არავითარი წარწერა ზედ არ უნდა ექნეს გერბი კი ინიციალებით 5 ენაზე.

**ინგლისი და რუსეთი**

**ტილზიტ.** 25 თებ. ჰააგიდან „ტილზიტერ-ცეიტუნგ“-ს ატყობინებენ დეპეშით ინგლისის მთავრობას სურს პრინცის კუნძულებზე მოწვევა განაახლოს და აცხადებს, რომ მოკავშირეებს რუსეთში მხოლოდ წესრიგის აღდგენა სურთ. მოკავშირეებს სურთ ჩაერიონ რუსეთის საქმეებში. ინგლისს სურს კონფერენციის ადგილის ამორჩევის უფლება რუსეთს მიენდოს.

**მოსკოვი.** (გაგრძელება). ამერიკელები ამავე თვალსაზრისით უყურებენ და აცხადებენ, რომ თუ განმეორებული მოწვევა უშედეგო დარჩა, მაშინ მოკავშირეები რუსეთს ეკონომიურ ინტერესებს უგულებელ-ყოფენ. ესტლანდიას, ლიტვას, არხანგელსკსა და ეკატერინოდარს უზრუნველ ყოფენ იარაღით და ამუნიციით ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბერლინიდან „ტილზიტერ-ცეიტუნგს“ აუწყებენ: ვილსონმა განუცხადა ლოიდ-ჯორჯს, რომ ამერიკა არ ცდილობს ზღვაზე გაბატონებას და სურს, რომ ამას ესწრაფოდნენ სხვა სახელმწიფოებიც. თუ ამ საკითხში შეთანხმება არ მოხდა, მაშინ თუ კი სხვა სახელმწიფო ერთ გემს ააშენებს, ამერიკა ორს ააშენებს.

**ბაზელი.** თებ. 24. ვაშინგტონიდან გაზეთ „დერბუნდს“ აუწყებენ: ამერიკიდან უნდა გადაასახლონ 8000-დე უცხოელი, რომელთაც ბოლშევიკური პროპაგანდა ბრალდებათ.

იტალიის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლუტაცციმ გამოუშვა მსოფლიო ლატარიის გეგმა რომლის შემოსავლით სამხ. ხარჯები უნდა დაიფაროს. **კენიგსბერგი.** მარტ. 2. კენისბერგის საბჭო. კომუნისტურმა პარტიამ და ახალგაზრდა სოციალისტურ კავშირმა შემდეგი მოწოდება გამოუშვა- რეაქცია ჰინდენბურგის და ნოსკეს ხელმძღვანელობით ატყუებს ხალხს ლოზუნგით „სამშობლოს დაცვა და განცხადებით, თითქმის რუსების მუშები გერმანიას თავდასხმით ემუქრებოდენ. ეს სასაცილოა. ყოველივე გასროლილი ტყვია კომუნისტების წინამძღვ ძმათა სისხლის ღვრას გამოიწვევს. რუსეთის ხალხისგან გამოგზავნილ რადეკს ებერტმა და შეიდემანმა ბორკილები დაადვეს. ჩვენი რუსი ძმები ნებას არ მისცემენ მასხარად აიგდონ მათი ბელადი. მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დამმობილებას რუსის მუშებთან, რადეკის განთავისუფლებას, არმიის დემობილიზაციის, თეთრგვარდიის დაშლას, წითელი არმიის შედგენას და საბჭოთა აღდგენას. კენიგსბერგში რადეკის დაპატიმრების საწინააღმდეგოთ კვირას დემონსტრაციები გაიმართა.

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

**ბერლინი,** თებერვლის 27. დუსელდორფში შეხვლამ მთავრობის ჯარმა დაიჭირა სადგური და პალატის შენობა. სპარტაკელებს ბელადებმა დამალვა მოასწრეს. დააპატიმრეს მრავალი სპარტაკელი. მათ ჩამოართვეს მრავალი იარაღი და ყუმბარები.

**ნაუენი.** თებ. 23. ბერლინის მეუმრავლესე სოციალისტების ზოგიერთი წრეები მოითხოვენ სოციალისტურ ზომების დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას. გერმანიის ბლოკადით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება თან და თან იზრდება. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პრესაც კი მოსალოდნელ ეკონომიურ კატასტროფის შიშით მოითხოვს მუშათა საბჭოების დახმარებით დაჩქარებით ცხოვრებაში გაატარონ სოციალიზაცია. მოკავშირენი განაგრძობენ გერმანიის ეკონომიურ იზოლაციას რითაც გერმანელ მუშათა შორის უმრავლესობის ბელადთა წინააღმდეგ უკიდურეს მიმართულების გაძლიერებას ხელს უწყობენ.

## რეიტერის სააგენტ. ცნობა

ლემბერგში (ლვოვში) გაემგზავრა პოლონელებისა და უკრაინელების შესარიგებლად მოკავშირეების მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც სხვათა შორის შედის დელეგატად ამერიკელი პროფესორი ორდი.

ამერიკის მისიის უფროსმა პოლონეთში პოლკოვნიკმა გრევსმა, რომელმაც 5 კვირაში პოლონეთი დაიარა, მოკავშირეთა კომისიამ მოხსენება წარუდგინა პოლონეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მისი სიტყვით შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენია სურსათი პოლონეთში, რადგან გლეხები მიეჩვიენ სურსათის მალვას რუსების და გერმანელების ოკუპაციის დროს, როცა ეს უკანასკნელი ყველაფერს ართმევდენ გლეხებს კანონიერის თუ უკანონო საშუალებით.

ბევრი აღმოჩნდა ზოგიერთი სურსათ-სანოვაგე, განსაკუთრებით კომბოსტო, ხახვი და ერბო. პური, ლუდი და ყოველგვარი სანოვაგე ძალიან ძვირია, რაც ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობას მიაყენებს გაჭირვებულ ხალხს. ტანისამოსის დიდი სიმცირეა მთელ პოლონეთში სრულიად არ მოიპოვება მატყლი და ტილო. ფეხსაცმელების შოვნა ძნელია და წარმოუდგენლად ძვირი ღირს. საჭიროა, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ნედლი მასალის შემოზიდვა, რათა აღდგენილ იქნეს ფართლეულობის დამზადება და საქმე გაუჩნდეს მრავალ ათას უმუშევარ დამშეულ ხალხს. გერმანიიდან ჩამოსულ ლტოლვილ პოლონელებს ყოველ დღე აძლევენ ბინას და საკვებს. ვარშავაზე უკვე გაიარა 600,000 ლტოლვილმა და კიდევ მოდიან.

**მოკავშირეთა წარმომადგენლების სხდომაზე.**

სამხედრო სამინისტროში დღეს შესდგა მოკავშირეთა წარმომადგენლების ჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც პირველ რიგში იმსჯელეს იმ კომისიის მუშაობის პროგრამაზე, რომელიც ამას წინად დაინიშნა ნეიტრალ ქვეყნებში საზღვრების რთულ საკითხების განსახილველათ წარმოადგინეს პირობები, რომლის თანახმადაც შესაძლებელია ბელგიელთა მოთხოვნილებები მხედველობაში იქნეს მიღებული. შემდეგ მოისმინეს ვერსალის უმაღლეს სამხედრო სამსჯავროს წარმომადგენლების აზრი ტრანსილვანიაში რუმინიის და უნგრეთის ჯარების შუა ნეიტრალურ ზონის შექმნის შესახებ. სომხეთის მოთხოვნილებები წარმოადგინა სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარემ აჰარონიანმა და ბოდოს ნუბარ-ფაშამ.

## გერმანული პრესა

**მუშების გაფიცვა უნგრეთში.**

სამხრეთ უნგრეთში რკინის გზის მუშების გაფიცვების ჩასაქრობათ სერბიელები სასტიკ ზომებს იღებენ. ტემეშვარში რკინის გზის მუშებმა გაანახლეს მუშაობა. დანარჩენები ისევ გაფიცული არიან და არ სურთ მუშაობის დაწყება სანამ უნგრეთის მართველობა არ დაწესდება.

**ს. დ. პარტიის ყრილობა.**

ბერლინში მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატების კრებამ ერთხმათ მოითხოვა პარტიულ ყრილობის მოწვევა.

**პრუსიის კონსტიტუციონური ყრილობა.**

პრუსიის სამინისტრომ გადასწყვიტა, რადგანაც მიმოსვლა გაძნელებულია, პრუსიის კონსტიტუციონური ყრილობის მოწვევა გამოურკვეველ დრომდე გადაიდოს.

**საბჭოთა კონგრესი ბერლინში.**

გერმანიის ცენტრალური სოციალისტური რესპუბლიკა 26 მარტისთვის ბერლინში იწვევს საბჭოთა მეორე კონგრესს. გერმანიის და გერმანულ ავსტრიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მიმართ მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: გერმანიაში მდგომარეობის გართულება აუცილებლათ ხდის საბჭოთა მეორე კონგრესის მოწვევას. აუცილებლათ საჭიროა მოხდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები ახალი არჩევნები რათა კონგრესმა გამოხატოს მუშათა კლასის ნამდვილი სულიერი განწყობილება.

**დემონსტრაციების აკრძალვა ბერლინში.**

ბერლინის პირველი არმიის სარდლობამ გამოუშვა შემდეგი ბრძანება მუშათა გასაფრთხილებლათ: „რადგან მუშებს უპასუხისმგებლო პირების ზეგავლენით მოუწოდებენ საერთო გაფიცვებისა და გამოსვლებისაკენ ამით მეორეთ ვაცხადებ, რომ მთავრობისაგან აკრძალულია ქუჩებში თავის მოყრა და ყოველგვარი დემონსტრაციები როგორი ხასიათისაც უნდა არ იყოს იგი. დი იარაღით გარეკვენ დემონსტრაციებს.

**საარის ოლქი საფრანგეთის წინააღმდეგ.**

შესდგა „საარის თავდაცვის საზოგადოება“, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ფრანგების მიერ საარის ოლქის დაპყრობის განზრახვას. ხსენებული საზოგადოება თავის დეკლარაციაში აცხადებს, რომ ეს ოლქი ყოველთვის გერმანიას ეკუთვნოდა და ერთიანად გერმანელებითაა დასახლებული. მხოლოდ ოლქის მინერალური სიმდიდრე და განვითარებული მრეწველობისადმი ინტერესის გამო განუზრახავს საფრანგეთის ოლქის შემოერთება, წინააღმდეგ ყოველივე საერთაშორისო უფლებისა.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი,** 2 მარტი. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. (დასაწყისი არ არის) ზემო-ურალის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ზემო-ურალის დასავლეთით 110 ვერსით წინ წაიწიეს. უფის რაიონში, მდინარე ბასუზე ტერეჯლი დავიჭირეთ. სარაპულის რაიონში კრასნო-უფის რკინის გზის ხაზზე მალნაკევი დავიჭირეთ. აღმოსავლეთით მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. პერმის რაიონში მდინარე ობვიზე ჩვენ ბრძოლით დავიჭირეთ კოროვინის შესართავი. მტერმა უკან დაიხია ჩრდილოეთით, ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიჭირა.

**მოსკოვი,** (გაგრძელება). **ბერლინი,** თებერვლის 24. გაზეთი „ტაგი“ იუწყება: ბერლინისა და სპაას შუა რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. მატარებელი მხოლოდ ელბერფელდამდე მიდის.

**ბერლინი,** თებერვლის 23. მთავრობის ჯარმა ქალაქი განაუ დაიჭირა. სპარტაკელების მეთაურები დააპატიმრეს. წითელი ჯარის კავშირს იარაღი აყარეს, თავმჯდომარე დააპატიმრეს, ბალაბში სამხედრო წესებია.

---

-ონა! დაათავა მეფემ.

სიტყვების მოსმენაზედ ქალმა ვედ მიართვა აშოტს თაიგული ელზედ აკოცა. მეფე შეეხო ბაქალის დახრილ თავს, ხოლო ბეჯს ვაჟკაცურად გადაეხვია.

სადა ბრძანდებიან დედოფალი ულის წულნი?

სასახლეში გელიან გახარებულნი. გაუხსნეს მეფეს მიმავალს. შეხალხი აშოტის კვალსა. უბრავლა არ იყო ეს, ლიტანიობა სამხიარულო სვლა ბედნიერის სიმღერა, საკრავთა ხმა პირ-ოდი, ბაასი, სიცილ-თქართქარი, თვა აღტაცებული, კოცნა მხია- მოსულნი მხედარნი და შეგე-ლი ხალხი ეხლა არეულნი იყვნენ ანეთში. ბევრს თავისანი ეპოვნა ხვეოდა. წესს აღარავინ დასდევ- აღარც საჭირო იყო: მთელი უსამზღვროდ მხიარულობდა, რც ერთი ოჯახი მექორწინე. ველა ისე ჰხატმედა თავის აღტა-, როგორც შეეძლო და ეხერხე-. სიჩუმე ჩამოვარდა მხოლოდ , როცა მიუახლოვდნენ სამეფო ომს. აქ მეფეს შეეგება სადღე-ულოდ მორთული გურანდუხტ ს შვილებით. მის თანამხლებ ქალთა შორის ორი მონაზონიც ეს დედანი ხშირად ახლდნენ თან ფალს. საეკლესიო დროშა გაე- სასახლის ხუცესს. ჯვარით აკუ- მოძღვარმა მეფე. გახარებულმა ცმა პირს აკოცა დედოფალს და დასწვდა ბალღებს, თითო-თი-აიყვანა და ისე დაჰკოცნა. ამაყად დედოფალი, დიდმედიდურად. ლობდა შეგებებას მეფური დარ-ბის იერი მისცემოდა ხალხის წი- აინიშნა ეს აღელვებულ-აღტა- მეუღლეს. აშოტი დაუწყნარდა იმან მხოლოდ ეხლა იგრძნო, როგორ გრილად შეჰხვდა მეუღლე მის მგზნებარე ამბორს. დედოფალმა აიმაღლა ხმა:

— მართლმსაჯულთა ღმერთო! გარე შეაქცია ჩვენგან პირი თვისი, და გვეუფლა მტერი. ბნელმა დაჰფარა დიდება ჩვენი. ლტოლვილ ვიქმენით ცოდვათა. ჩვენთაგან მოგვევლინა ეს! გარნა ყოვლად მოწყალე მეუფე: რა მოვიინანეთ. სასწაულებრივ გვიხსნა მდევართა ჩვენთაგან და გაგვამტკიცა მათ ზედა. გვმართებს გლოვა სინანულისა, რათა არღა გარეშეაქციოს პირი თვისი ჩვენგან, და სიხარული სამადლობელი!

მოწიწებით უსმენდნენ დედოფალს, გულს კი არ სწვდებოდა მისი სიტყვები. ხალხს უბრყვილო სიხარული სწყუროდა გარდასრულ ჭირთა სანაცვლოდ და არა გლოვა სინანულისა. ვაჟკაცს თბილი სიტყვა ჰსუროდა სურვილით, მოსიყვარულე გულიდან აღმომხდარი ხმა საალერსო და არა ოხვრა რამ მონანებისა. მეფესაც, შური უნდოდათ პოხილი, სუნნელად მცხვარი, ის კი თითქო ქვას აწვდიდა მათ თუ ნაფოტსა განხმელს. დედოფლის თქმამ წრფელი აღტაცება ვერ გამოიწვია ვერც ხალხში, ვერც მეფის გულში. მაინც აგუგუნდა ხალხი, ხმა აიმაღლა სამადლობელი. მთელი ღამე გუგუნი იდგა სამხიარულო, ლხინი იყო თვით აისამდინ, ჟრჟოლიელ ღრეობა მზის ამოსვლამდინ გარდარეული. გასცა მეფემ ბრძანება: დავლის ნაწილი ეკლესიებს და მონასტრებს ასაგებ-გასამშვენებლად; დანარჩენი ხალხს ომისა თუ აყრის გამო დაზარალებულს.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

81

**შტუტგარტი,** თებერვლის 22. ვიურტემბერგის მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი კრებები და დემონსტრაციები.

**ბერლინი,** თებერვლის 24. „ფრეიცეიტის“ ცნობით სამხედრო მინისტრ ნოსკეს განკარგულებით გამოცხადდა მობილიზაცია საზღვრების დასაცავად. „ფრეიცეიტი“ იუწყება, რომ კილში სოციალ-დემ. საერთო კრებამ პროტესტი გამოიტანა ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის საქმის გამოძიების გაგრძელების გამო, მოითხოვა განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნა, რომელიც სასწრაფოთ გამოიძიებს საქმეს.

**ბერლინი,** თებერვლის 24. „ფორვერტსი“ იუწყება, რომ მიუნხენში გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც 150,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. დროშებზე ეწერა: „გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს საბჭოთა სისტემას, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მსოფლიო რევოლიუციას“. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის სურათები. „ფორვერტს“-ის ცნობით მთავრობის ჯარმა დაიჭირა ვატენშეიტი. ცენტრალურ გერმანიაში და სპარტაკელთა და დამოუკიდებელთა ბელადები დააპატიმრეს.

**ბერლინი,** თებერვლის 25. „პრეისეშე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ სილეზიის საზღვარზე ბრესლავსი ჩეხები დიდძალ ჯარს უყრიან თავს. სხვა ცნობებით გლაცისკენ 30,000 ჩეხელი გაემართა, ვალდენბურგის ქვა-ნახშირის მადაროების მიმართულებით.

**იამბურგი,** 1 მარტი. ჩვენ მხარეზე გადმოდიან რუსეთის სანაპირო ოლქების მცხოვრებნი. გლეხები თეთრგვარდიაში სამსახურს თავს ანებებენ და წითელ არმიაში ეწერებიან.

**ჰააგა,** თებერვლის 23. პარიზიდან ინგლისის გაზეთებს აუწყებენ, გამოძიებამ დაამტკიცა, რომ კლემანსოზე თავდასხმელთ პიშონის მოკვლა ჰქონდათ განზრახული. დააპატიმრეს 8 სოციალისტი კიდევ, რომელთაც ბრალდებათ კლემანსოზე დაგდასხმაში მონაწილეობა.

**მიუნხენი,** თებერვლის 23. ბავარიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს დეპუტატებმა მოითხოვეს ბავარიის წარმომადგენლების დამფუძნებელი კრებიდან გამოწვევა და გადასწყვიტეს შესწყვიტონ ყოველგვარი დამოკიდებულება ებერტთან და შეიდემანთან. გადასწყდა შესდგეს ბავარიის წითელი გვარდია.

**ბერლინი,** თებერვლის 24. კასტროპში, რურის რაიონში, შეტაკება მოხდა სპარტაკელებსა და მთავრობის ჯარის შორის. ორივე მხარეზე ბევრია მოკლული. ესსენიდან იუწყებიან, რომ რურის რაიონში მილიონ ნახევარი გაფიცული მუშაა.

## ქართული გალობისათვის

„საქართველოში“ (იხილ. № 39 ამ წლისა) იყო დაბეჭდილი „ანესალომ და ეთერის“ რეცენზია ბ. ინეხის სადაც სხვათა შორის ნათქვამია... „რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქართველმა ხალხმა, შორეულ წარსულში, სადაც არავითარი შეცნობილი კანონი სიმღერისა არ არსებობდა, შეიქმნა ასეთი ჰანგები, რომელიც ხშირად თვით მცოდნე მუსიკოსებსაც კი აკვირვებს თვისი საკვირველ ს ხმაწყობილობით და რომელშიაც განხორციელებულია რთული მუსიკალური კანონები და ფორმები... ბ. ინეხის დასკვნა შემცდარია. ქართველ ხალხში—შორეულ წარსულში უფრო იყო შეგნებული კანონი სიმღერისა, გალობისა, ღიღინისა, ვიდრე ახლა თუ გნებავთ!

აბა მოიარეთ მთელი დუნია და მიჩვენეთ უძველეს ერთა მუსიკა, სადაც მრავალხმოვანი სიმღერა, თუ გალობა ჰქონდეს ვისმე, თუნდ იმისთანავე ბუნების პატრონს, როგორიც გვიწერა წართქმაში? უძველეს ხალხთა მუსიკა-სიმღერა თუ გალობა არის ერთ ხმოვანი და არა გუნდოვან-ხმაშეწყობილი. აიღეთ თვით ჩინელ სპარსელ არაბელთა სიმღერა. თუ იქ შეჰხვდებით ამისთანა მოვლენას? ვერ შეჰხვდებით! აიღეთ ბერძენთა ასსირო-ბაბილონელთა, რომაელთა, სომეხთა და სხვ. ერთა პირვანდელი დრო, თუ იქ შეხვდებით ამას? ვერც იქ შეჰხვდებით: ეს არის ნაყოფი იბერიელ ერის შემოქმედებით ნიჭისა, მუყაითობისა და დაუღალავი შრომისა. შვილი რომ მამას ასწავლიდა, ანდერძისავით ევალებოდა და მომაკვდინებელ ცოდოთ ეთვლებოდა, რომ უმთავრესი კილოსათვის ეღალატნა და იქ იმას შეეთხზა რამე და შეხანხლული ერისათვის მიეკუთვნებინა. ეს დიდი ღირსება არის ერისა.

ამას გარდა მომღერლებსა და მგალობლებს მეფედან დაწყებილი, უბრალო გლეხამდისინ დიდ ყურადღებას აქცევდნენ და დიდ დახმარებასაც უჩენდნენ და ამისი საბუთებიც მრავალია. პურმარილობა და გულუხვი სტუმართ მოყვარეობა ეს ხომ ძველდეველ ქართველ ერის პირველი ღირსება იყო და არის! „სუფრა უღიღინოთ და უსიმღეროთ, უგალობოთ არ ივარგებისო“. ეს თვისება ქრისტემდისინ ჰქონდა, აქვს და მგონია მომავალში შეჰრჩება ქართველ ხალხს. ქართველური ელფერი როგორ შეინარჩუნეს სპარსეთში გადასახლებულთა 1616 წ. და რუსეთში „სარატანოვკაში, შელკოვაიაში და ალექსანდროვკაიაში (სტანიცები) სადაც მშვენიერი „ჩაკრული“, „სუფრული“, „ალილო“ და სხვ. სიმღ. მშვენივრად შეუნახავს.

კანონი რო არა ყოფილიყო, ნუ თუ ეს ძველი საგალობო ნიშნები, რომლებსაც ვხვდებით ხელთნაწერებში VIII—XII საუკ. გადაწერილებს და არა დაწერილებს, არ ჰხატავენ იმ კანონებს, რომელთა მიუხედავად ვერც ერთი მგალობელი, მცოდნე და არა მოტრფიალე იმას ზურგს ვერ შეაქცევს; და აქამომდე ეს წესი და კანონი გალობისა დაცულია მცოდნეთა მიერ და არა უვიცთა მიერ?

ქრისტეს შემდეგ, ჩემის ღრმა რწმენით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და პირველი ადგილი ჰქონდა დაჭერილი გალობასა და სიმღერასა ქართველი ერის ცხოვრებაში და მათ წოდებრივ ურთიერთობაში. ჭირში, ლხინში და გაჭირებაში ერთი იყვნენ და მტერი მაშინა სძლევდა ხოლმე ქართველთა, როდესაც მათ ერთიანობას გასტეხდა ხოლმე თავისს სიმღერებშიაც სწორეთ ამასა ჰხატავდა ქართველი ერი დროს შესაფერათ და გარემოებისა მიხედვით.

აიღეთ „ბატონების სიმღერა“, ძეობის დროს, ნათლობისა და ქორწინების დროს; დიდმარხვის დროს არავითარ სიმღერას არ იტყვიან, გარნა წლის თავზედ, წლიწადი შესრულდებოდა გარდაცვალებისა დღიდგან, ოჯახს ახსნიდნენ, მეორეთ შესანდობარს ღაღადებდა სახლის მოძღვარი, შესაფერ დარიგებას ეტყოდა, მიირთმევდა დანაზთენთა სადღეგრძელოს და დაიძახებდა ხოლმე ისევე „სუფრულს“.

პროფ. კორეშჩენკომ დიდებითად დაამტკიცა გავლენა ქართულისა „სპარსულ-არაბულ“ ბაიათებშიც, მუხლებიც კი გადმოწერა და უჩვენა „ეს ქართულია და არა სპასული თუ არაბულიო“.

დეკ. ვას. გრიგ. კარბელაშვილი.

## ურიცხვა
### სასტუმრო-რესტორანების მეპატრონეთა *)

9 თებერვალს სასტუმროების და რესტორანების მეპატრონეთა მოხდარ საზოგადო კრებაზე ვინმე „დამსწრე“ „საქართველოს № 37-ში ასეთი სიტყვებით უმასპინძლდება საზოგადოებას: პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გოგიბერიამ და ვრცლათ შეეხო არჩევნების ინიციატორებს, რომლებმაც თავისი ძმა კაცობით და ხათლიმამობით გაიყვანეს ხმოსანი ქალაქის საბჭოში და სხვა, რომ პატივცემულ „დამსწრეს“ სახით ჩვენ ვხედავდეთ საძვილ დამსწრეს ან კორესპონდენტს რომელმაც პირუთვნელად ნუსხა გაუკეთა მოხდარ კრებას, ჩვენ არას ვიტყოდით, მაგრამ რადგანაც ბ. „დამსწრე“ ტენდენციის ჩენს მოვალეთ ვსთვლი ჩემს თავს როგორც კომისიის წევრი და მდივანი საზოგადოებას განუმარტო შემდეგი:

15 იანვარს 1919 წ. მოხდა სასტუმრო რესტორანთა მეპატრონეების კრება, რომელიც მოწვეული იყო თვითონ ს. გიგიბერიას მიერ. მართალია, კრებაზე გამოცხადდა მცირე რიცხვი საზოგადოებისა, მაგრამ კრებამ გაუწია ანგარიში დროს და რადგანაც ორი დღის ვადაში, ისიც მაშინ როდესაც, კავშირში სრული ინდიფერენციზმია გამეფებული, მეტის მოწვევა შეუძლებლად სცნო, კრება გამოაცხადა კანონიერად. ამ კრებაზე იყო მუდმივი კავშირის მდივანი ბ-ნი რაზმაძე, მხოლოდ არ გამოცხადდა თვითონ კრების მომწვევი ბ-ნი გიგიბერია.

მოისმინა რა კრებამ ბ. გოთუას მოხსენება და განმარტება საარჩევნო უფლებაზე, დაადგინა არჩეულ იქმნას რვა კაცისაგან შემდგარი სარეკომენდაციო კომისია, რომელსაც დაევალა კანდიდატთა სიის შედგენა მთავარ საარჩევნო კომიტეტში წასაყენებლათ. ხსენებული კომისია შეიკრიბა 16 იანვარს და შემუშავებული რეზოლიუცია კანდიდატთა სიით წარადგინა მთავარ კომიტეტში. მიუხედავათ ამისა 9 თებერვალს მომხდარ კრებაზე ზოგიერთმა პირებმა ასტეხეს ერთი აურზაური და მოუწოდეს ხალხს პროტესტი გამოეცხადებიათ სარეკომენდაციო კომისიისათვის. რათა რისთვის? რა ევალებოდა კომისიას ან რაში გადაცთა ის, ამის გამორკვევა მასიურ კრებაზე შეუძლებელი იყო და არც კი მოუთხოვიათ ეს. თუ ბ-ნი „დამსწრე“ მიუდგომელი პირია, რათ არ მიაქცია ყურადღება კრების შემადგენლობას, რათ არ შენიშნა ის რომ, კრება შესდგებოდა სხვა და სხვა პარტიის და უპარტიო ელემენტებისაგან, რათ გამოსტოვა სამართლიანი მოთხოვნილება მომხდარიყო რეგისტრაცია ან არჩეულიყო კომისია, რომელიც გამოიძიებდა დანაშაულს. განა კორესპონდენტს, რომლის პირდაპირი მოვალეობაა კრების სრული სახე პრესას გადასცეს, შეუძლია არ დაინახოს ასეთი შეცდომები? რასაკვირველია არა.

თუ 15 იანვარს დიდი კრება არ შესდგა და ფართოთ ვერ ვისარგებლეთ საარჩევნო უფლებებით, სწორეთ ამაში დამნაშავეა ბ. გიგიბერია და არა ჩვენ. 15 იანვარს თუ ოცდა ხუთი კაცს მეტი ვერ მოიწვია და არც თვითონ მოვიდა, 9 თებერვალს რამ გააფთრა რომ სამას კაცს მოუყარა თავი. ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია; მხოლოდ ერთი ცხადია ჩვენ რომ კანდიდატთა სიაში გიგიბერია შეგვეტანა ან ის პირი, რომლის მიმართ მას ასეთი ძერძო შუღლი აქვს არ დაგვესახელებია ყოველისფერი წყნარათ ჩაივლიდა.

ამ რამდენიმე თვის წინათ აქ დაარსთა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა პალატა. დადგენილება პალატისა სავალდებულოა ყველა მსხვილ და მწვრილ ვაჭართათვის რესპუბლიკის საზღვრებში. ამ პალატამ სხვათა შორის წესდება მიიღო ერთი მუხლი კანონპროექტისა, რომლის მიხედვით ყოველი დარგის მოვაჭრე ვალდებულია თავის წლიურ გადასახადზე გადაიხადოს კიდევ ორი პროცენტი პალატის ხარჯების დასაფარავათ. შეადარეთ დიდი მანუფაქტურის და ქარხნების გადასახადი პატარა რესტორან სასადილოების პატრონებთან, და თქვენ დარწმუნდებით რომ, მთელი პალატის ხარჯები აწვება რესტორან სასადილოებს და ამგვარ წვრილ სავაჭროებს. მერმე ვინ ავირჩიეთ იქ, ვინ არიან ჩვენი კანონმდებლები? ცნობილია რომ საქართველო წვრილი წარმოების ქვეყანაა. კანონის ძალით და საარჩევნო სისტემით ჩვენც შეგვეძლო შევსულიყავით სავაჭრო პალატაში, განა ეს ქალაქის გამგეობაზე ნაკლები საქმეა? მაგრამ ამის შესახებ ჩვენი კავშირის თავმჯდომარემ და დარაჯმა კრინტიც არ დასძრა და უბრალო მოხსენებაც კი არ გაუკეთებია კავშირში. მხოლოთ როცა ჩვენ არჩევნებზე პროტესტი განვაცხადეთ, მან თავისებურათ შამოგვიტია და კრებაზეც არ დაგვესწრო. განა ამის შემდეგ შეიძლება კაცმა თავის თავს დარაჯი უწოდოს!

კომისიის დავალებით ჟამი.

*) ამ საგნის შესახებ ვსპობთ ყოველგვარ პოლემიკას. რედ.

## ქართული ენა განახლებულ სკოლაში

იმ საგანზედ, რაზედაც გვსურს ჩვენ ვილაპარაკოთ, პრესა დიდიხანია სდუმს. რით აიხსნება ეს სიჩუმე? ალბად იმით, რომ ყველას სადაო საკითხად ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური კითხვები ჰგონია; ყველა ქართველი შეპყრობილია პოლიტიკური ენტუზიაზმით და გარეშე ამ საკითხის თვით ცხოვრებაც უფერულად მიაჩნიათ. რასაკვირველია პრინციპიალურად არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი პოლიტიკურ საკითხების გარკვევის, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც ის ხელს შეუწყობს, და არ შეუშლის ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგების წესიერ მსვლელობას და განვითარებას. საზოგადოთ ფანატიკოსობა, ერთი საკითხის აკვიატება, მასზედ შეჩერება და გაყინვა მავნებლად მიგვაჩნია თანამედროვე ერისთვის.

ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ პრესას, ის უთუოდ დამეთანხმება: ამ ორი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება მეტს ლაპარაკობს ეკონომიურ და პარტიულ საკითხებზედ, ვინემ თვალყურს ადევნებს ჩვენი ცხოვრების კულტურულ დარგებს, სკოლას პედაგოგიკას; ეს იმ დროს ხდება, როდესაც არც ერთ ჩვენგანს არ შეგვეძლიან უსკოლოდ გაძლოთ, გარეშე პედაგოგიკის ცხოვრება მოვაწესრიგოთ.

ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფოს წყობილება, გავაძლიერეთ შინაური და გარეშე პოლიტიკური ძალები, მოვახდინეთ ყოველი დარგის ფილტრაცია ნაციონალურ მიზნების მიხედვით, მაგრამ თამამად შემიძლიან ვთქვა (და ვიდებ თავზედ მოვალეობას დავამტკიცო), რომ ამ მხრივ ჩვენ სკოლას და პედაგოგიკას არაფერი ახალი არ შემატებია.

ძველი სკოლა იარაღი იყო ძველი დახავსებული მთავრობისა, ახალი მთავრობა მოვალეა გამოიყენოს ის საქართველოს გაძლიერებელ ძალების სასარგებლოდ; ეს მოხდება მაშინ, როდესაც ვეღირსებით სკოლის მთელი სისტემის, მეთოდის შეცვლას.

ძველი სკოლა და ქართული ენა, მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ; შედეგად ქართული ენის ნელნელი ემიგრაცია გახდა სკოლიდან და საზოგადოდ ყველა დაწესებულებებიდან. მაშინდელმა სკოლამ შექმნა ანტიეროვნული სისტემა სწავლის, ერთი სიტყვით, შექმნა ერთმხრივობა; ეს გამოიხატა რუსული ენის გაბატონებასა და სხვა „ადგილობრივ“ ენების ამომოფხვრაში. სწორედ ამ ანტიეროვნულმა სულმა შეჰქმნა ჩვენი მომავალი თაობა რუსიციზმის იარაღად და აქედან ვრცელდებოდა ეს სენი მთელ ქართველობაში.

უპირველესი ვალი ჩვენი სამინისტროსი ეს ეროვნული სულის დაბრუნებაა. ის ქართული ნაციონალიზმი, რაც კასოს სამინისტრომ ამოსწურა, დღეს ლასხიშვილის სამინისტრომ უკანვე უნდა ჩასწუროს; ის ქართული სული, რომელიც ნიკოლოზის მთავრობამ ამოგვხადა, მთავრობა მოვალეა ჯერ ეს სული დაგვიბრუნოს.

მართლაც და რა განსაცდელში ვიმყოფებით ჩვენ? ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სრულიად ახალს, ქართულს, გვჭირია ქართველი ძალები, რომელიც მომავალმა ქართულმა სკოლამ უნდა მოგვცეს!

რა დღეში იმყოფება დღეს სკოლა?

მთავრობამ ნაციონალიზაცია გამოაცხადა. მაგრამ, როგორც უმრავლეს შემთხვევაში, ისე აქაც სიტყვას მიეცა მნიშვნელობა უფრო თეორეტიული, ვინემ პრაქტიკული.

მაგალითად ავიღებ ერთ-ერთ ვაჟთა გიმნაზიას, რომელთანაც ძლიერ ახლო ვდგევარ და ყველა მისი ამბები ზედმიწევნით ვიცი.

ამ გიმნაზიაში მე-4 კლასამდე ნაციონალიზაცია სრული და მოწაფეობა ქართველებია, სწავლაც ქართულია. მე-5, 6, 7 და 8 კლასები ისევ ძველ სისტემით შერეული არიან. მიუხედავად ამისა ყოველ კლასში ნახევარი ქართველია. (თითო კლასს ორი განყოფილება აქვს).

საგნებს სწავლობენ რუსულად ქართველებიც და არა ქართველებიც. გარჩევა ერთია: არა ქართველები სწავლობენ საქართველოს ისტორიას რუსულად. სად არის სახელმწიფო ენა—ქართული.

ჩვენ არ მოვითხოვთ მეტს, მარა უბედურებაც ის არის, რომ ქართულ ლიტერატურას თვით ქართველებიც რიგიანად არა სწავლობენ. მოგიყვანთ მაგალითს.

მე-6 კლასში ამ წლის განმავლობაში ისწავლეს: „თორნიკე ერისთავი“ ილიას რამდენიმე ლექსი „განდეგილი“ „ელისო“ და რამდენიმე ნაწყვეტი. ქართულ გრამატიკაში მხოლოდ სიტყვის შემადგენლობა სხვა არაფერი.

განა იმას ჰგავს ქართული ლიტერატურის შესწავლა სურთ ასეთ უსისტემოდ და უმარილოდ ისწავლის? ვიმეორებ: ქართულ სკოლებში ძველი სული არ მოშლილა. ქართული ენის გაკვეთილი კლასში ისევ ძველ სურათს წარმოადგენს; გულგრილობა, ინდიფერენტიზმი და საერთოდ უყურადღებობაა!

ჩვენი გულცივობა ჩვენივე ნაყოფია, მას სხვას ვერ დავაბრალებთ და უპირველესად ყოვლისა ეს არის შედეგი ქართველი მასწავლებლების „ამხანაგურობის“. ქართულ ენის გაკვეთილი მითომ თავისუფალი გაკვეთილია, გინდ ისწავლით გინდ არა, გინდ დაესწრობით, თუ არ მოგესურვებათ—არ დაესწრობით, კლასში ისე იქცევი, როგორც შინ, გაკვეთილი შეგიძლიანთ არ მოამზადოთ, ამისთვის არავინ არაფერს გეტყვით, არც დაგსჯიან, გადასასვლელად შემდეგ კლასში ვერ დავაბრკოლებთ, თუ ვერ ილაპარაკებთ ქართულს ეს არ არის მოსაკვდავი ცოდვა, მასწავლებელს გაეცინება და თქვენც გამხიარულდებით ენის დამახინჯებისას და სხვა მისთანანი...

არ ვიცი დანამდვილებით რა ხდება სხვა გიმნაზიებში, მაგრამ განა ქართველი მოიშლის ქართველობას?

გიორგი ნადირაშვილი.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დილის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დილის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დილის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო — დილის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახ ჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დილის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მუხრანელი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე მებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**[illegible]**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და სამაჯშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—8

**წიგნების საკინძ-საყაზმავი სახელოსნო**
**ვლადიმერ შატბერაშვილისა**

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

**ზუსტ ს ვადაზე ფასზე**

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ საკინძ-საყაზმავ საგნებს.

**მისამართი:** სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მხატვართა კავშირის გვერდით.

24—114 16 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული**
**გ ა ზ ე თ ი**

# „საქართველო“

**1919 წ. ხელისმოწერა 1919 წ.**

**გაზეთი წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 78. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.**